საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030646354925019

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1105 **22 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ცენტრი) მიმდინარე წლის 11 მარტს (წერილი N 06/922) წარმოგიდგინათ ინფორმაცია, საქართველოს კანონის ‘’გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი’’-თ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ფუნქციების შესახებ, რომელშიც ასევე ავღნიშნეთ, რომ ამ პროცესების სწრაფად გადასაწყვეტად, მიზანშეწონილია სამინისტროში შეიქმნას კომისია, ვინაიდან, ამ საკითხებზე მასალები, დასკვნების მოსამზადებლად, უკვე შემოდის ცენტრში, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას, კომპეტენციის ფარგლებში, გასცეს სამართლებრივ საფუძველზე დამყარებული დასკვნები და მასალები უკან ბრუნდება სამინისტროში. ამ წერილს თან ვურთავთ, კოდექსით დადგენილი სგშ-ის პროცესის ფარგლებში გადაწყვეტილებების მისაღებად გასათვალისწინებელი მოქმედი ნორმატიული აქტების, მათ შორის სანიტარიული ნორმების ჩვენს მიერ მომზადებულ ნუსხას.

ჩვენს ქვეყანაში, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების შეფასების სამუშაოების განხორციელების პრაქტიკისა და გამოცდილების არ არსებობის გამო, ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, ჩნდება პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების ძიების საჭიროება, საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად ტექნიკური დახმარებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შესამუშავებლად. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებლობას წარმოადგენს UNDP-ის მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF)პროექტი. პროექტი ხელს უწყობს საქართველოს საჯარო სექტორის გაძლიერებას, საჯარო უწყებების უნარების განვითარებას და დემოკრატიული რეფორმების გატარებას. შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, მმართველობის რეფორმის ფონდი- GRF მიზნად ისახავს სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობის გაზრდას კონსულტირებისა და ტექნიკური დახმარების გზით.

მმართველობის რეფორმის ფონდის პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილი ინიციატივებისა და შერჩევის კრიტერიუმების ჩამონათვალის შესაბამისად შესაძლებელია მომზადდეს საპროექტო განაცხადი **„საჯარო უწყების შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად სტარტეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ეროვნულ პოლიტიკაში ინტეგრირების მიზნით“**, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების **ვალდებულებებთან.**

ბატონო დავით, ასევე წარმოგიდგენთ საერთაშორისო ტექნიკური დახმარების მოპოვების ზემოაღწერილ სამუშაოებთან დაკავშირებით მხარდაჭერის წერილის პროექტს, რომელიც თქვენი თანხმობის შემთხვევაში უნდა გაეგზავნოს UNDP-ს შემდგომი პროცედურების დასაწყებად.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე